ხარაგაულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს

დადგენილება N225

03 ოქტომბერი 2022 წელი

დ.ხარაგაული 56-00

9 აპრილის ქუჩა #15

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციისა და ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის და მის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ა“ ქვეპუნქტის, ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 31 დეკემბრის №364 ბრძანების„საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების და ინვენტარიზაციის შედეგების საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე აღრიცხვა-ანგარიშგებაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საფუძველზე **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:**

მუხლი 1. დამტკიცდეს „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული(ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციისა და ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის და მის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესი“ დანართი 1და (ფორმა №1-4) შესაბამისად.

მუხლი 2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის, მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისა და მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილით დაფუძნებული სამეწარმეო იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერისა და მის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესის დამტკიცების თაობაზე“ ხარაგაულის მმუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 2 მარტის N15 დადგენილება (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ვებგვერდი, 05/03/2015, 010250020.35.128.016216)

მუხლი 3. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**

დანართი N 1

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული(ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციისა და ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის და მის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

ეს წესი განსაზღვრავს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის და მის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესს. ის შემუშავებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 31 დეკემბრის №364 ბრძანების „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების და ინვენტარიზაციის შედეგების საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე აღრიცხვა-ანგარიშგებაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ შესაბამისად.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. ქონება – საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ნებისმიერი ნივთი.
2. ჩამოსაწერი ქონება – ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონება.
3. შესაბამისი დაწესებულება(შემდგომში–„დაწესებულება“)- ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირები.
4. ინვენტარიზაცია - ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული აქტივების და ვალდებულებების, ასევე, განმარტებით შენიშვნებში ან/და საცნობარო ანგარიშებზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ასახული არასაბალანსო კატეგორიების შემოწმება და მათი აღრიცხვის სისწორის დადგენა ბუღალტრული მონაცემებისა და ფაქტობრივი ნაშთების შედარების გზით.
5. საინვენტარიზაციო კომისია (შემდგომში – „კომისია“) – ქონების ინვენტარიზაციისა და ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის მიზნით დაწესებულებაში შექმნილი კომისია.

მუხლი 3. ინვენტარიზაციის მიზანი

ინვენტარიზაციის მიზანია:

ა) ორგანიზაციის საკუთრებაში(ბალანსზე რიცხული) ქონების შემოწმება;

ბ) ისეთი აქტივების გამოვლენა, რომელთაც ორგანიზაციისათვის არ მოაქვს ეკონომიკური სარგებელი/მომსახურების პოტენციალი;

გ) აქტივების შენახვის, ექსპლუატაციისა და დაცვის წესებისა და პირობების შემოწმება;

დ) აქტივების დანაკლისის/დანაკარგის გამოვლენა და შესაბამისი ღონისძიებების განსაზღვრა;

ე) აქტიური მოხმარებიდან გამოსული და გამოუყენებელი აქტივების გამოვლენა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრა;

ვ) აღრიცხვასა და ანგარიშგებაში შეცდომით გამორჩენილი აქტივების/ვალდებულებების გამოვლენა და აღრიცხვა;

მუხლი 4. ინვენტარიზაციის ჩატარება

1. დაწესებულებაში ინვენტარიზაცია ტარდება „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების და ინვენტარიზაციის შედეგების საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე აღრიცხვა-ანგარიშგებაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 31 დეკემბრის №364 ბრძანების და „ძირითადი საშუალებების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა, ფულადი საშუალებებისა და ანგარიშსწორებათა ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს კოლეგიის 1995 წლის 1 აგვისტოს №12-03 დადგენილებით დამტკიცებული დებულების შესაბამისად და ამ წესის გათვალისწინებით.
2. დაწესებულების ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების ჩამოწერა ხდება ყოველი წლის ბოლოს ჩატარებული აქტივებისა და ვალდებულებათა ინვენტარიზაციის საფუძველზე, ხოლო ჩამოწერის შედეგები აისახება დაწესებულების წლიურ ბალანსზე. გამონაკლის შემთხვევებში, თუ ამას დაწესებულების ინტერესები მოითხოვს, ძირითადი საშუალებების ჩამოწერა შეიძლება

ფიზიკურ მდგომარეობას, სათანადო საფუძვლის არსებობას, ასაბუთებს მისი ბალანსიდან ჩამოწერის აუცილებლობას და ამზადებს ქონების ჩამოწერისათვის საჭირო დოკუმენტაციას.
3. იმ მცირეფასიანი აქტივების ინვენტარიზაცია, რომლებიც ხარჯებშია ჩამოწერილი და ექსპლუატაციიდანაა გასული, თუმცა არ არის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ჩამოწერილი, უნდა განხორციელდეს ცალკე, ექსპლუატაციიდან გასვლის მიზეზების ჩვენებით. ამასთან, აღნიშნული მცირეფასიანი აქტივების ინვენტარიზაციის შედეგები არ აისახება ინვენტარიზაციის შედეგების აქტში.

მუხლი 5. საინვეტარიზაციო კომისიის მუშაობის წესი

1. კომისია იქმნება ამ წესის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტში განსაზღვრული მიზნებისათვის და მისი შემადგენლობა განისაზღვრება დაწესებულების ხელმძღვანელის შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.
2. კომისიის შემადგენლობა:
ა)კომისიის თავმჯდომარე – ხელმძღვანელობს კომისიას;
ბ) კომისიის თავმჯდომარის მოადგილე–კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში ხელმძღვანელობს კომისიას;
გ) კომისიის მდივანი – ადგენს კომისიის სხდომის ოქმს და პასუხისმგებელია მის სისწორეზე;
დ) კომისიის წევრები.
3.საჭიროების შემთხვევაში, დაწესებულების ხელმძღვანელი, კომისიის მოხოვნით, კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად, უფლებამოსილია მოიწვიოს დარგის სხვა სპეციალისტები (აუდიტორი, შესაბამისი სფეროს ექსპერტი ან სხვა კვალიფიციური პირი), რომლებიც არ იღებენ მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში.
4.საინვენტარიზაციო კომისია უნდა შედგებოდეს არანაკლებ 3 წევრისაგან.
5.კომისია განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს სხდომებზე, რომელსაც ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნისას – თავმჯდომარის მოადგილე. კომისიის სხდომის შესახებ დგება ოქმი, რომელშიც აღინიშნება კონკრეტული საკითხის განხილვისას კომისიის წევრების მიერ გამოთქმული განსაკუთრებული მოსაზრებები და მიღებული გადაწყვეტილებები. კომისიის სხდომის ოქმს ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე, კომისიის მდივანი და დამსწრე ყველა წევრი.
6. კომისია უფლებამოსილია განიხილოს საკითხი, თუ მის სხდომას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი მაინც. კომისიის მიერ საკითხი გადაწყვეტილად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს კომისიის დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი მაინც. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.
7. კომისია სწავლობს ჩამოსაწერი ქონების ფაქტობრივ ფიზიკურ მდგომარეობას, სათანადო საფუძვლის არსებობას, ასაბუთებს მისი ბალანსიდან ჩამოწერის აუცილებლობას და ამზადებს ქონების ჩამოწერისათვის საჭირო დოკუმენტაციას.
8. დაწესებულების ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (ბრძანება) ისე უნდა იყოს შედგენილი, რომ უზრუნველყოფდეს ინვენტარიზაციის ჩატარებას გონივრულ ვადაში და გონივრული ადამიანური რესურსებით და, რომ ინვენტარიზაციის ჩატარებამ ხელი არ უნდა შეუშალოს ორგანიზაციის ძირითად საქმიანობას.
9. მუდმივმოქმედი საინვენტარიზაციო კომისიის არსებობის შემთხვევაში, მიზანშეწონილია სავალდებულო ინვენტარიზაციის ჩატარების დროს ყოველწლიურად შეიცვალოს კომისიის სიითი შემადგენლობის არანაკლებ 20%.
10.თუ საინვენტარიზაციო კომისიის წევრს საპატიო მიზეზით არ შეუძლია ინვენტარიზაციის ჩატარებაში მონაწილეობის მიღება, ორგანიზაციის ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე ხდება მისი შეცვლა.
11.საინვენტარიზაციო კომისიის წევრის შეცვლის დროს, ყოფილი წევრის ხელმოწერით დადასტურებული შუალედური საინვენტარიზაციო აღწერები და ინვენტარიზაციასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები რჩება ძალაში.
12.ინვენტარიზაციის ჩატარება საინვენტარიზაციო კომისიის წევრთა არასრული შემადგენლობით დაუშვებელია. საინვენტარიზაციო კომისიის არასრული შემადგენლობით ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგები ითვლება ბათილად.
13.საინვენტარიზაციო კომისიის მუშაობა ფორმდება ინვენტარიზაციის შედეგების აქტით

14.საინვენტარიზაციო კომისია ინვენტარიზაციის დაწყებამდე უფლებამოსილია (თუ ინვენტარიზაციის ჩატარების წესებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული) საჭიროების შემთხვევაში დალუქოს აქტივების შენახვის ადგილები.

მუხლი 6. ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესი

1.კომისია სწავლობს ამორტიზებული ან ექსპლოატაციისათვის გამოუყენებელ (ვადაზე ადრე ჩამოწერა) ძირითადი საშუალების ფაქტობრივ ფიზიკურ მდგომარეობას, ასაბუთებს ძირითადი საშუალების დაწესებულების ბალანსიდან ჩამოწერის აუცილებლობას და ადგენს ლიკვიდაციის (ჩამოწერის) აქტს ყველა ძირითად საშუალებაზე ცალ-ცალკე. კომისია ასევე ამზადებს ჩამოსაწერი ძირითადი საშუალების ნარჩენი ღირებულების დადგენის აქტს, ხოლო, საჭიროების შემთხვევაში, ძირითადი აქტივის ლიკვიდაციის აქტს და წარუდგენს მუნიციპალიტეტის მერს.(ფორმა № 1- 4) შესაბამისად.

ფორმა №1

ჩამოსაწერი ძირითადი აქტივის (შენობა-ნაგებობებისა და გადასაცემ მოწყობილობათა) ნარჩენი ღირებულების დადგენის აქტი

20 წლის----------მდგომარეობით

მესაკუთრის, ბალანსმფლობელის დასახელება ----------

| № | ძირითადი საშუალების დასახელება | ექსპლუ-ატაციაში შესვლის წელი | ექსპლუა-ტაციაში ყოფნის ვადა | ღირებუ-ლება გადაფა-სებამდე (ლარი) | ბუღალ-ტრული ცვეთა გადაფა-სებამდე | | ფიზიკური ცვეთა გადაფა-სებამდე | | ნარჩენი საბალანსო ღირებულება გადაფასებამ-დე (ლარი) გრ.5-გრ.9) | გადაფასების კოეფიციენტი საქართველოს პრეზიდენტის 09.06.1997 წ. №295 ბრძანებულების საფუძველზე | ღირებულება გადაფასების შემდეგ (ლარი) | (
					%	ლარი	%	ლარი				
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	1

კომისიის წევრები:

1.
2.
3.
4.
5.

შენიშვნა: თუ ძირითადი აქტივი შეძენილია, ან ნარჩენი საბალანსო ღირებულება განსაზღვრულია 1998 წლის 1 იანვრის შემდეგ, გრ. 5-დან გრ.11-ის ჩათვლით არ ივსება.

ფორმა №2

ჩამოსაწერი ძირითადი აქტივის (მარქანა-დანადგარებისა და სხვა) ნარჩენი ღირებულების დადგენის აქტი

20 წლის

მესაკუთრის, ბალანსმფლობელის დასახელება----------

№	ძირითადი საშუალების დასახელება	ექსპლუატაციაში შესვლის წელი	ექსპლუატაციაში ყოფნის ვადა	ღირებულება გადაფასებამდე (ლარი)	ბუღალტრული ცვეთა გადაფასებამდე		ფიზიკური ცვეთა გადაფასებამდე		ნარჩენი საბალანსო ღირებულება გადაფასებამდე (ლარი) გრ.5-გრ.9)	გადაფასების კოეფიციენტი საქართველოს პრეზიდენტის 09.06.1997 წ. №295 ბრძანებულების საფუძველზე	ღირებულება გადაფასების შემდეგ (ლარი)	ცვეთ გადა სები შემდ (ლარ
					%	ლარი	%	ლარი				
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13

კომისიის წევრები:
1.
2.
3.
4.
5.

შენიშვნა: თუ ძირითადი აქტივი შეძენილია, ან ნარჩენი საბალანსო ღირებულება განსაზღვრულია 1998 წლის 1 იანვრის შემდეგ, გრ.5-დან გრ.11-ის ჩათვლით არ ივსება.

ფორმა №3

ძირითადი აქტივის ლიკვიდაციის აქტი
20 წლის ----------მდგომარეობით
მესაკუთრის, ბალანსმფლობელის დასახელება----------

№	ძირითადი აქტივების დასახელება	ექსპლუატაციაში შესვლის წელი	საწყისი საბალანსო ღირებულება. გადაფასებამდე	ცვეთა გადაფასებამდე		გადაფასების კოეფიციენტი	საწყისი საბალანსო ღირებულება გადაფასების შემდეგ /ლარი/	ცვ გად მერ
				%	ლარი			
1	2	3	4	5	6	7	8	9
2								
3								
4								

კომისიის შემადგენლობა:----------

შექმნილი 20 წლის ---- ---------- № -------
ბრძანების საფუძველზე, რომელმაც დაათვალიერა ----------

და აღმოჩნდა, რომ ძირითადი საშუალება ლიკვიდირებული უნდა იქნეს შემდეგის საფუძველზე:

1. ექსპლუატაციაში შესვლის / გამოშვების/ წელი ----------
2. საწყისი საბალანსო ღირებულება ----------
3. ძირითადი აქტივის ტექნიკური მდგომარეობა და ლიკვიდაციის მიზეზი

ა) ---------- ბ) ---------- გ) ----------

კომისიის დასკვნა ----------
--

კომისიის წევრები: 1 ----------
--

2 ----------
3 ----------
4 ----------
5 ----------

ვამტკიცებ: დაწესებულების ხელმძღვანელი:
ბ.ა.

ფორმა №4

ძირითადი აქტივების ლიკვიდაციის შედეგების გამოთვლა

დანახარჯების ლიკვიდაცია			ლიკვიდაციის შედეგად მიღებული	
დოკუმენტის დასახელება	დანახარჯების ჩამონათვალი	თანხა ლარი	დოკუმენტაციის დასახელება	ფასეულობათა სახეები
1	2	3	4	5

ლიკვიდაციის შედეგი .....
20 წ. ----- ----------
კომისიის თავმჯდომარე:
თავმჯდომარის მოადგილე:
ბუღალტერი:
კომისიის წევრები:
ვამტკიცებ: დაწესებულების ხელმძღვანელი:

ბ.ა.
ლიკვიდაციის შედეგის საერთო თანხა ----------: (.....)

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია უზრუნველყოფს ჩამოსაწერი ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულებისა და მათი ლიკვიდაციის შედეგად მიღებული სასაქონლო - მატერიალური მარაგების ღირებულებების დადგენის აქტების შემოწმებასა და დადასტურებას შესაბამისი აუდიტორის მიერ, ჩამოწერასთან დაკავშირებით თანხმობის მისაღებად წარუდგენს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ხოლო თანხმობის მიღების შემთხვევაში, მერი ამტკიცებს კომისიის მიერ ძირითადი საშუალებების ჩამოწერასთან დაკავშირებულ ყველა აქტს.
3. დაუმთავრებელი მშენებლობის ან ექსპლოატაციისათვის გამოუსადეგარი შენობა-ნაგებობების ჩამოწერისას საჭიროა საექსპერტო დასკვნა.
4. ჩამოწერის შედეგად მიღებული მასალები (ჯართი, სამშენებლო მასალა, ვარგისი ნაწილები და სხვა), რომელიც ექვემდებარება შემოსავალში აღებას და შემდგომ გამოყენებას, უნდა აისახოს დაწესებულების ბალანსზე მარაგების სახით.
მუხლი 7. ჩამოწერილი და გამოუსადეგარი ძირითადი საშუალებების განადგურება და განკარგვა
1. ჩამოწერის შედეგად მიღებული ქონება , რომელიც არ ექვემდებარება რემონტს , განკარგვას ან სხვა ორგანიზაციებისთვის გადაცემას და გამოუსადეგარია , ექვემდებარება განადგურებას
2. ქონების განადგურებას ახორციელებს კომისია.
3.ქონების განადგურებას ტექნიკურად და ორგანიზაციულად უზრუნველყოფს დაწესებულება, რომელსაც ეკუთვნის გასანადგურებელი ქონება .
4. ქონება უნდა განადგურდეს სპეციალურად ამ მიზნისთვის გამოყოფილ ადგილებში და ნაგვის დასაწვავ ადგილებში .
5. ქონების განადგურების თაობაზე დგება ოქმი , რომელსაც ხელს აწერენ განადგურების პროცესის დამსწრე პირები .
6. ქონების განადგურებისთვის აუცილებელი ხარჯი ფინანსდება შესაბამისი დაწესებულების მიერ
.

მუხლი 8. ჩამოწერილი ქონების რეალიზება

ქონების განკარგვა, რომელიც ჩამოსაწერი ქონების აქტის თანახმად ექვემდებარება ბალანსში მარაგის სახით ასახვას, ხორციელდება „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველო მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების შესაბამისად.

მუხლი 9. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ჩამოწერის წესი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ჩამოწერის საკითხს წყვეტს შესაბამისი იურიდიული პირის ხელმძღვანელი, მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით. იურიდიული პირის ხელმძღვანელი მუნიციპალიტეტის მერს წარუდგენს წერილს, რომელსაც თან უნდა დაერთოს აუდიტის დასკვნა და კომისიის მიერ შემუშავებული დოკუმენტები. აუდიტის დასკვნაში ასევე ასახული უნდა იყოს ჩამოწერილი ქონების ფიზიკური, ფაქტობრივი მდგომარეობა და შესაბამისი ფოტომასალა.

2. ხარაგაული მუნიციპალიტეტის საკრებულო, მუნიციპალიტეტის მერის წარდგინებით, თანხმობას გასცემს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ქონების ჩამოწერის შესახებ.

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) იმ ქონების (ნივთის) ჩამოწერის საკითხს, რომლის საწყისი საბალანსო ღირებულება არ აღემატება 1000 (ერთი ათასი) ლარს, ერთპიროვნულად წყვეტს შესაბამისი იურიდიული პირის ხელმძღვანელი და პასუხს აგებს ქონების ჩამოწერასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის სისწორეზე.

4. ჩამოწერილი ქონების რეალიზაცია ხდება „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების შესაბამისად.